

RURAL WATER SUPPLY AND WASTEWATER TREATMENT PROGRAM – AJARA

LOT 2

სოფელი კვიახიძეების წყალმომარაგების პროექტი



ეკოლოგიური კვლევის ანგარიში

გარემოსდაცვითი ასოციაცია – ფსოვი

es_psovi@yahoo.com

+995 595 40 66 90

ბათუმი 2021

სარჩევი


| | |
|--|----|
| 1. კვლევის ჩატარების დრო და საკვლევი ტერიტორიის მდებარეობა ----- | 3 |
| 2. ზოოლოგიური კვლევა ----- | 4 |
| 3. ბოტანიკური კვლევა ----- | 10 |
| 4. იქთიოლოგიური კვლევა ----- | 31 |
| 5. მაკროუხერხემლოების კვლევა ----- | 34 |
| 6. გამოყენებული ლიტერატურა ----- | 40 |
| 7. დანართები ----- | 42 |

კვლევის ჩატარების დრო და საკვლევო ტერიტორიის მდებარეობა

საველე სამუშაოები (კვლევები) ჩატარებული იქნა 2021 წლის 17 მაისს, შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვიახიძეებში, სადაც დაგეგმილია სოფლის წყალმომარაგების პროექტის განხორციელება.

საველე სამუშაოებში და ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ექსპერტებმა: ნინო მემიაძე (ფლორა) ჯიმშერ მამუჭაძე (ფაუნა) დავით ბაგრატიონი (უხერხემლოები) და რამაზ მიქელაძე (თევზები).

საკვლევო ტერიტორიის რუკა



ზოოლოგიური კვლევა

კვლევა განხორციელებული იქნა ჯიმშერ მამუქაძის მიერ

ზოოლოგიური კვლევების წარმოებისას მოხდა შემდეგი კომპონენტების შესწავლა: ძუძუმწოვრების კვლევა (მსხვილი და წვრილი), ფრინველების კვლევა და ამფიბია-რეპტილიების კვლევა. მიუხედავად იმისა რომ დაგეგმილი სამუშაოები არ იქნება დიდი მასშტაბების და ძირითადად იქნება ლოკალური, პროექტის არეალში ჩატარებული კვლევები იქნება ორიენტირებული სახეობრივი მრავალფეროვნების გამოვლენაზე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წითელ ნუსხის სახეობებს და საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული იქნება სპეციალური რეკომენდაციები სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას (მშენებლობის ფაზაზე).

ძუძუმწოვრების კვლევა პროექტის არეალში მოხდება უშუალო დაკვირვების მეთოდით, კვლევების მასშტაბურობა დამოკიდებული იქნება კონკრეტული პროექტის მასშტაბურობაზე, კვლევები წარმოება მოხდება ტრანსექტულად შემოვლის მეთოდით, როგორც უშუალო დაკვირვებით, ასევე კონკრეტული სახეობების არსებობის დამადასტურებელი ნიშანწყლების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება წითელი ნუსხის სახეობებზე, მათი არსებობის დამადასტურებელი ფაქტების შემთხვევაში აღებული იქნება GPS კოორდინატები და დაიტანება რუკაზე. პროექტის შესაძლო ზემოქმედების შემთხვევაში განხილული იქნება ალტერნატიული ბიომრავალფეროვნებისათვის უსაფრთხო ვარიანტები.

ფრინველების კვლევა მოხდება პროექტის არეალში ტრანსექტებზე შემოვლის მეთოდით, მოზუდარი ფრინველების კვლევა სასურველია ჩატარდეს მაის - ივნისის განმავლობაში ადრე დილით. სავლეთ კვლევების წარმოებისას მოხდება როგორც ვიზუალური დაკვირვება ასევე ფრინველების მიერ გამოცემული ხმებით სახეობების იდენტიფიცირება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება წითელი ნუსხის ობიექტებზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციები იქნება შემუშავებული პროექტის გარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაზე. ფრინველებზე დაკვირვებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა ოპტიკური საშუალებები და GPS -ი.

ამფიბია-რეპტილიების კვლევისათვის ასევე გამოვიყენებთ ტრანსექტული (იქ სადაც დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოები) შემოვლის მეთოდს, ველზე მუშაობისას დაკვირვება მოხდება ამფიბიების და რეპტილიების ჰაბიტატებზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება წითელი ნუსხის სახეობებზე და მათი დაფიქსირების შემთხვევაში შემუშავებული იქნება რეკომენდაციები სამუშაოების წარმოებისათვის რათა არ მოხდეს და თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზემოქმედებები.

კვლევის მიზანი

1. წითელი ნუსხის ან სხვა დაცული სახეობების გამოვლენა
2. პროექტის შესაძლო ზემოქმედების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება.

საკვლევი ტერიტორიის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

მსხვილი ძუძუმწოვრები

არსებული ლიტერატურული მონაცემებზე დაყრდნობით აჭარის ტერიტორიაზე (მათ შორის ასევე საკვლევ ტერიტორიაზე) გხვდება შემდეგი სახეობის მსხვილი ძუძუმწოვრები:

1. მაჩვი (*Meles meles*)
2. მურა დათვი (*Ursus arctos*)
3. ფოცხვერი (*Lynx lynx*)
4. გარეული კურდღელი (ბოცვერი) (*Lepus europaeus*)
5. ტურა (*Canis aureus*)
6. კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*)
7. კვერნა (*Martes martes*)
8. მელა (*Vulpes vulpes*)
9. შველი (*Capreolus capreolus*)
10. გარეული ღორი (*Sus scrofa*)
11. გარეული კატა (*Felis silvestris*)
12. მგელი (*Canis lupus*)

ჩამითვლილთაგან მურა დათვი, ფოცხვერი და კავკასიური ციყვი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში (წარმოადგენენ დაცულ სახეობებს).

წვრილი ძუძუმწოვრები

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით აჭარის ტყეების ტერიტორიაზე გხვდება 27 სახეობის წვრილი ძუძუმწოვარი, როგორც მღრნელები ასევე ხელფრთიანები. (Bukhnikashvili, 2004; Bukhnikashvili, Beltadze edit., 2012).

ცხრილი - წვრილი ძუძუმწოვრების ჩამონათვალი

| № | სახეობათა ლათინური დასახელება |
|----|-------------------------------|
| 1. | Erinaceus concolor |

| | |
|-----|---------------------------|
| 2. | Talpa caucasica |
| 3. | Sorex raddei |
| 4. | Crocidura gueldenstaedti |
| 5. | Rhinolophus hipposideros |
| 6. | Myotis nattereri |
| 7. | Myotis mystacinus group |
| 8. | Nyctalus noctula |
| 9. | Nyctalus leisleri |
| 10. | Eptesicus serotinus |
| 11. | Pipistrellus pipistrellus |
| 12. | Pipistrellus nathusii |
| 13. | Hypsugo savii |
| 14. | Plecotus auritus |
| 15. | Lepus europaeus |
| 16. | Sciurus anomalus |
| 17. | Sciurus vulgaris |
| 18. | Glis glis |
| 19. | Dryomys nitedula |
| 20. | Chionomys roberti |
| 21. | Terricola majori |
| 22. | Sylvaemus uralensis |
| 23. | Sylvaemus fulvipectus |
| 24. | Sylvaemus ponticus |
| 25. | Sylvaemus mystacinus |
| 26. | Mus musculus |
| 27. | Rattus rattus |

ფრინველები

აჭარის ფაუნის შესახებ ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახეობის ფრინველები.

| # | სახეობა |
|---|--------------------|
| 1 | ძერა |
| 2 | მიმინო |
| 3 | ქორი |
| 4 | ირაო, კრაზანაჭამია |
| 5 | ჩვეულებრივი კაკაჩა |
| 6 | ველის კაკაჩა |
| 7 | გუგული |

| | |
|----|----------------------|
| 8 | მაქცია |
| 9 | შავი კოდალა |
| 10 | მწვანე კოდალა |
| 11 | დიდი ჭრელი კოდალა |
| 12 | ტოროლა |
| 13 | კლდის მერცხალი |
| 14 | სოფლის მერცხალი |
| 15 | ქალაქის მერცხალი |
| 16 | ველის მწყერჩიტა |
| 17 | ტყის მწყერჩიტა |
| 18 | თეთრი ბოლოქანქარა |
| 19 | რუხი ბოლოქანქარა |
| 20 | ჭინჭრაქა |
| 21 | გეტვია |
| 22 | გულწითელა |
| 23 | ბულბული |
| 24 | ბოლოცეცხლა |
| 25 | მთის ბოლოცეცხლა |
| 26 | მეღორდია |
| 27 | შაშვი |
| 28 | მგალობელი შაშვი |
| 29 | ჩხართვი |
| 30 | შავთავა ასპუჭაკა |
| 31 | ჭივჭავი |
| 32 | ღაბუაჩიტი |
| 33 | ჩვეულებრივი მემატლია |
| 34 | ლურჯი წივწივა |
| 35 | დიდი წივწივა |
| 36 | შავთავა წივწივა |
| 37 | თოხიტარა |
| 38 | ხეცოცია |
| 39 | მგლინავა |
| 40 | წითელზურგა ღაჟო |
| 41 | მცირე შავშუბლა ღაჟო |
| 42 | ჩხიკვი |
| 43 | ყორანი |

| | |
|----|--------------------|
| 44 | რუხი ყვავი |
| 45 | სახლის ბელურა |
| 46 | სკვინჩა |
| 47 | სტვენია |
| 48 | მწვანულა |
| 49 | ჩიტბატონა |
| 50 | ჩვეულებრივი კოჭობა |
| 51 | ნისკარტმარჩუნა |
| 52 | ბალის გრატა |
| 53 | კლდის გრატა |

ჩამოთვლილი სახეობებიდან არცერთი არ წატმოადგენს დაცულ სახეობას

ამფიბია რეპტილიები

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახეობის ამფიბია - რეპტილიები:

1. კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) **IUCN (VU)**
2. კავკასიური გომბეშო (*Bufo verrucosissimus*).
3. მწვანე გომბეშო (*Pseudipidalea viridis*)
4. ვასაკა (*Hyla orientalis*)
5. ტბის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*)
6. მცირე მყვარი (*Rana macrocnemis*),
7. ბოხმეჭა (*Anguis colchicus*)
8. წითელმუცელა ხვლიკი (*Darevskia parvula*)
9. ართვინის ხვლიკი (*Darevskia derjugini*)
10. მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*)
11. ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*)
12. წყლის ანკარა (*Natrix tessellata*)
13. ცხვირ რქოსანი გველგესლა (*Vipera transcaucasiana*),
14. წენგოსფერი მცურავი (*Platyceps najadum*)
15. ნაირფერი მცურავი (*Hemorrhais ravergeri*)
16. სპილენდა (*Coronella austriaca*)
17. ესკულაპის მცურავი (*Zamenis longissimus*)

ჩამოთვლილთაგან მხოლოდ კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) დაცული **IUCN (VU)** -ით და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა.

საველე კვლევის შედეგები

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ კვიახიძეებში, ზოოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა წყალგამტარი მილის დერეფანში 10 მეტრიან კორიდორში და წყალამღებ წერტილთან 25 მ იან რადიუსში.

კვლევების პერიოდში ნაპოვნი იქნა შემდეგი ცხოველები და მათი არსებობის დამადასტურებელი ნიშანწყლები.

ბუბუმწოვრები: კვერნა (*Martes martes*) და შველი (*Capreolus capreolus*).

ფრინველები: შაშვი, წრიპა შაშვი, სკვინჩა, მწვანულა, ბოლოცეცხლა, დიდი წივწივა, შავთავა წივწივა, ლურჯი წივწივა, რუხი ბოლოქანქარა, გულწითელა, შავთავა ასპუჭაკა, ჩვეულებრივი კოჭობა, ჭივჭავი, ჩხიკვი, გუგული, ყორანი, წყლის შაშვი, მწვანე კოდალა და დიდი ჭრელი კოდალა.

ამფიბია რეპტილიები: ვასაკა (*Hyla orientalis*), მწვანე გომბეშო (*Pseudipidalea viridis*), მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*) და წითელმუცელა ხვლიკი (*Darevskia parvula*).

საველე კვლევის პერიოდში არ იქნა ნაპოვნი არცერთი „წითელი ნუსხის“ სახეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საველე სამუშაოების პერიოდში არ იქნა ნაპოვნი კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) (დაცული სახეობა - **IUCN (VU)**) ვფიქრობ ნაკადული საიდანაც ხდება წყალაღება წარმოადგენს პოტენციურ გასამრავლებელ ადგილებს და მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია.

კომპანიის ინიჟინრების განმარტებით აღნიშნული პროექტისათვის ნაკადულიდან მოხდება 4 ლ/წ მოცულობის წყლის აღება, რაც ვფიქრობ არ იქნება მნიშვნელობანი დანაკარგი მდინარისათვის და მნიშვნელოვნად არ შეცვლის ეკოლოგიურ რეჟიმს, შესაბამისად არ საჭიროებს სპეციალური რეკომენდაციებს ან სამიტიგაციო ზომების შემუშავებას.

ბოტანიკური კვლევა

საველე სამუშაოები ჩატარებული იქნა ნინო მემიაძის მიერ

კვლევი მიზანი:

3. საკვლევი ობიექტის მცენარეთა სახეობების იდენტიფიცირება და დეტალური ნუსხების შედგენა;
4. დაცული, საფრთხის ქვეშ მყოფი, ენდემური, იშვიათი და სხვა, გლობალურ ან/და ეროვნულ დონეზე აღსანიშნავი სახეობის იდენტიფიცირება და ადგისამყოფელის GPS კოორდინატების დაფიქსირება.
5. მცენარეთა ცალკეულ სახეობებზე პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული შემფოთების შეფასება და შემარბილებელი ან/და საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები:

მცენარეულობის და ფლორის ინვენტარიზაციისთვის გამოვიყენეთ მარშრუტული მეთოდი. კერძოდ, მილის გასწვრივ 10 მ-იანი (5-5 ოროვე მხარეს) კორიდორის და წყალაღების სათავეში 700 მ² შესწავლა.

მცენარეთა სახეობრივი იდენტიფიკაციისთვის გამოვიყენეთ „საქართველოს ფლორის“ (Ketzkhoveli, Gagnidze, 1971-2016) და არსებული სხვა ფლორისტული ნუსხების (Dimitreewa, 1990 a, 1990 b; Czerepanov, 1995; Gagnidze, 2005) მიხედვით. ტაქსონომიური მონაცემები და სახეობათა ნომენკლატურის ვალიდურობა გადამოწმდა მცენარეთა ტაქსონომიის საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში ([The Plant List Vers. 1, 2010](#)). მცენარეთა სახეობებისთვის საფრთხის კატეგორიები განისაზღვრა საქართველოს წითელი ნუსხის (2014) და გლობალური IUCN ნუსხის (<https://www.iucn.org/>) მიხედვით.

საველე კვლევების დროს თითოეული დაცული, საფრთხის ქვეშ მყოფი, ენდემური, იშვიათი და სხვა, გლობალურ ან/და ეროვნულ დონეზე აღსანიშნავი სახეობისთვის განისაზღვრა GPS კოორდინატები: გრძედი, განედი და სიმაღლე ზღვის დონიდან. გადაღებული იქნა თითოეული გლობალურ ან/და ეროვნულ დონეზე დაცული სახეობის ფოტომასალა.

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვა:

აჭარის რეგიონში ლოკალიზებულია ფლორის უნიკალური და უძველესი კომპლექსები. რეგიონი ფლორისტული თვალსაზრისით წარმოადგენს კოლხეთის რეფუგიუმის უმნიშვნელოვანეს ცხელ წერტილს, სადაც ყველაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ამ რეფუგიუმისთვის დამახასიათებელი ფლორისტული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნებით შექმნილი სხვადასხვა ტიპის ფორმაციები და ეკოსისტემები (Kolakovskii, 1974; Kikvidze, Ohsawa, 2001. Nakhutsrishvili, 2013). კოლხური ტიპის ტყეებისთვის დამახასიათებელი მცენარეულის გარდა აჭარის ჰაბიტატთა მრავალფეროვნებას და უნიკალურობას განსაზღვრავს მასში დასავლეთ შუა აზიური, ჰირკანული, ხმელთაშუაზღვეთის და საქართველო-თურქეთის (აჭარა-ართვინის) ენდემური და ვიწროლოკალური გავრცელების მქონე სახეობის მცენარეების გავრცელება. საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიების მაღალი კონცენტრაციის გამო მცირე ტერიტორიულ მასშტაბებში, აჭარის რეგიონის თითქმის მთლიანი ნაწილი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც საკონსერვაციოდ პრიორიტეტულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიად ამიერკავკასიაში. აქედან გამომდინარე, ყველა სახის იმფრასტრუქტურული აქტივობა აჭარის ტერიტორიაზე განიხილება, როგორც პოტენციურად მაღალი საფრთხის მომცველი ქმედება ბიომრავალფეროვნების ეროზიის თვალსაზრისით.

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვა

აჭარის რეგიონში ლოკალიზებულია ფლორის უნიკალური და უძველესი კომპლექსები. რეგიონი ფლორისტული თვალსაზრისით წარმოადგენს კოლხეთის რეფუგიუმის უმნიშვნელოვანეს ცხელ წერტილს, სადაც ყველაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ამ რეფუგიუმისთვის დამახასიათებელი ფლორისტული მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნებით შექმნილი სხვადასხვა ტიპის ფორმაციები და ეკოსისტემები (Kolakovskii, 1974; Kikvidze, Ohsawa, 2001. Nakhutsrishvili, 2013). კოლხური ტიპის ტყეებისთვის დამახასიათებელი მცენარეულის გარდა აჭარის ჰაბიტატთა მრავალფეროვნებას და უნიკალურობას განსაზღვრავს მასში დასავლეთ შუა აზიური, ჰირკანული, ხმელთაშუაზღვეთის და საქართველო-თურქეთის (აჭარა-ართვინის) ენდემური და ვიწროლოკალური გავრცელების მქონე სახეობის მცენარეების გავრცელება. საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიების მაღალი კონცენტრაციის გამო მცირე ტერიტორიულ მასშტაბებში, აჭარის რეგიონის თითქმის მთლიანი ნაწილი

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც საკონსერვაციოდ პრიორიტეტულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიად ამიერკავკასიაში. აქედან გამომდინარე, ყველა სახის იმფრასტრუქტურული აქტივობა აჭარის ტერიტორიაზე განიხილება, როგორც პოტენციურად მაღალი საფრთხის მომცველი ქმედება ბიომრავალფეროვნების ეროზიის თვალსაზრისით.

მცენარეულობის და ჰაბიტატების ზოგადი მიმოხილვა

საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია კოლხური რელიქტური სახეობით მდიდარი შერეულფოთლოვანი პოლიდომინანტური ტყე, რომელშიც დომინირებენ: მურყანი (*Alnus barbata*), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*); აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), გვხვდებიან აგრეთვე, კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana*), თელეები (*Ulmus glabra*, *Ulmus minor*), კაკალი (*Juglans regia*), ჭნავი (*Sorbus boissieri*), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana*). ასევე გარკვეულ მონაკვეთებზე ტყისპირა ნაირბალახოვანი მდელოები.

ერთეული სახით გვხვდება ქორაფი (*Acer laetum*), ველის ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ლეკა (*Acer platanoides*), ვერხვი (*Populus tremula*), კობის ფიჭვი (*Pinus kochiana*).

ქვეტყეში ბუჩქებიდან ძირითადად გაბატონებულია: წყავი (*Prunus laurocerasu*), *Rhododendron ponticum* (ჰონტოს შქერი) , *Rhododendron luteum* (იელი), მაცვლები: *Rubus hirtus*, *Rubus caucasicus*, გვხვდება აგრეთვე: ბაძგი (*Ilex colchica*), მოლოზანა (*Viburnum orientale*), იმერული ხეშავი (*Rhamnus imeretina*), კავკასიური ტირიფი (*Salix caucasica*).

საკვლევი ტერიტორიის ფლორის სახეობრივი მრავალფეროვნება:

საკვლევ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ აღწერილი სახეობები მოცემულია ცხრილში:

| Plants checklist of Kviakhidzebi | Status |
|---|---------------|
| <i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach | |
| <i>Acer campestre</i> L. | |
| <i>Acer laetum</i> C.A.Mey. | |
| <i>Acer platanoides</i> L. | |
| <i>Aconitum nasutum</i> Fisch. ex Rchb. | |
| <i>Agrostis tenuis</i> Sibth. | |
| <i>Ajuga reptans</i> L. | |

| | |
|---|------------------------|
| Alchemilla persica Rothm. (A.oxysepala Juz.) | |
| Alnus barbata C.A.Mey. | |
| Anthriscus sylvestris (L.) Hoffm. | |
| Aruncus vulgaris Rafin. | |
| Asperula odorata L. | |
| Asplenium adiantum-nigrum L. | |
| Athyrium filix femina (L.) Roth. | |
| Bellis perennis L. | |
| Brunnera macrophylla (Adams) I.M. Johnst. | |
| Calamagrostis arundinacea (L.) Roth. | |
| Calamintha grandiflora (L.) Moench | |
| Cardamine hirsuta L. | |
| Cardamine parviflora L. | |
| Cardamine uliginosa Bieb. | |
| Cardamine seidlitziana Albov | |
| Carex pendula Huds | |
| Carpinus betulus L. | |
| Castanea sativa Mill. | Georgian Red List (VU) |
| Cerasus avum (L.) Moench | |
| Cicerbita petiolata (C.Koch) Gagnidze | |
| Cirsium hypoleucum DC. | |
| Chrysosplenium dubium J. Gay ex Ser. | |
| Securigera orientalis (Mill.) Lassen | |
| Corydalis caucasica Dc. | |
| Corydalis marschalliana (Pall. ex Willd.) Pers. | |
| Corylus avellana L. | |
| Cystopteris fragilis (L.) Bernh | |
| Dentaria bulbifera L. | |
| Digitalis ferruginea L. | |
| Dryopteris carthusiana (Vill.) H.P.Fuchs | |
| Dryopteris filix-mas (L.) Schott | |
| Epilobium lanceolatum Seb.& Mauri. | |
| Epilobium parviflorum Schreb. | |
| Euonymus europaea L. (E.floribunda Stev.) | |
| Fagus orientalis Lipsky | |
| Festuca gigantea (L.) Vill. (Bromus giganteus L.) | |
| Fragaria vesca L. | |

| | |
|---|------------------------|
| Frangula alnus Mill. | |
| Gallium rotundifolium L. | |
| Gentiana schistocalyx (C.Koch) C.Koch | |
| Geranium robertianum L. | |
| Geum urbanum L. | |
| Hedera colchica (C.Koch)C.Koch. | |
| Ilex colchica Pojark. | |
| Juglans regia L. | Georgian Red List (VU) |
| Lapsana intermedia Bieb. | |
| Laurocerasus officinalis M. Roem. | |
| Leontodon danubialis Jacq. | |
| Leucanthemum vulgare Lam. | |
| Matteuccia struthiopteris (L.) Tod. | |
| Melandrium balansae Boiss. | |
| Mentha aquatica L. | |
| Mentha longifolia (L.)Huds. | |
| Moehringia trinervia (L.) Clairv. | |
| Mycelis muralis (L.) Dumort. | |
| Myosotis sparsiflora Pohl | |
| Myosotis sylvatica Ehrh. ex Hoffm. | |
| Ostrya carpinifolia Huds. | Georgian Red List (VU) |
| Oxalis acetosella L. | |
| Pachyphragma macrophyllum (Hoffm.) N.Busch | |
| Paris incompleta Bieb. | |
| Petasites albus (L.) Gaertn. | |
| Phegopteris connectilis (Michx.) Watt | |
| Phleum alpinum L. | |
| Phyllitis scolopendrium (L.) Newman | |
| Picea orientalis (L.) Link | |
| Pinus kochiana Klotzsch ex K. Koch | |
| Plantago lanceolata L. | |
| Plantago major L. | |
| Poa annua L. | |
| Poa pratensis L. | |
| Polygonatum multiflorum (L.) All | |
| Polystichum aculeatum (L.) Roth | |
| Populus tremula L. | |
| Prenanthes purpurea L. | |
| Primula sibthorpii Hoffm. & G. | |
| Prometheum pilosum (M. Bieb.) H. Ohba | |
| Prunella grandiflora (L.) Scholl. | |
| Psoralea acaulis Steven | |
| Pteridium tauricum V. Krecz. | |

| | |
|--|------------------------|
| Pyrethrum macrophyllum (Waldst. And Kit.) Willd. | |
| Rosa canina L. | |
| Ranunculus bulbosus L. | |
| Ranunculus trachycarpus Fisch. & C.A.Mey. | |
| Rhamnus imeretina Booth | |
| Rhododendron ponticum L. | |
| Rhododendron luteum Sweet. | |
| Rubus caucasicus Focke | |
| Rubus hirtus Waldst.& Kit. | |
| Rumex acetosella L. | |
| Rumex obtusifolius L. | |
| Ruscus colchicus Yeo. | |
| Salix caprea L. | |
| Salix caucasica Andersson | |
| Salvia glutinosa L. | |
| Sambucus ebulus L. | |
| Sambucus nigra L. | |
| Sanicula europaea L. | |
| Scilla siberica Haw. | |
| Sedum stoloniferum S.G.Gmel. | |
| Silene italica Kleop. | |
| Silene wallichiana Klotzsch. | |
| Sorbus boissieri C.K. Schneid. | |
| Spergula arvensis L. | |
| Stellaria media (L.) Vill. | |
| Symphytum asperum Lepech. | |
| Symphytum grandiflorum DC. | |
| Tamus communis L. | |
| Taraxacum officinale Wigg. | |
| Tilia begoniifolia Stev. | |
| Trachystemon orientalis (L.)G. Don fil. | |
| Trifolium pratense L. | |
| Ulmus glabra Huds. | Georgian Red List (VU) |
| Ulmus minor Mill. | Georgian Red List (VU) |
| Urtica dioica L. | |
| Vaccinium arctostaphylos L. | |
| Valeriana alliariifolia Adams | |
| Veronica melissifolia Poir. | |
| Veronica officinalis L. | |
| Viburnum orientalis L. | |
| Viola reichenbachiana Jord.ex Boreau | |

საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 128 სახეობა, რომელთაგან 5 სახეობა არის საქართველოს წითელი ნუსხის: *Ulmus glabra* (VU), *Ulmus minor* (VU), *Juglans regia* (VU), *Ostrya carpinifolia* (VU), *Castanea sativa* (VU).

სათავე ნაგებობასთან ჰაბიტატის აღწერა :

ძირითადად წარმოდგენილია მურყანის დომინანტობით (*Alnus barbata*) Dominantly; გვხვდება აგრეთვე: *Picea orientalis*, *Sorbus boissieri*, *Ulmus minor*. ქვეტყეში გაბატონებული ბუჩქებია: *Prunus laurocerasus*, *Rhododendron ponticum*, *Ilex colchica*, *Rubus hirtus*, *Rubus caucasicus*, *Sambucus nigra*, ბალახოვნებიდან: *Aruncus vulgaris*, *Cardamine impatiens*, *Cardamine hirsute*, *Athyrium filix-femina*, *Polystichum aculeatu*, *Phegopteris connectilis*, *Cystopteris fragilis*, *Matteuccia struthiopteris*, *Gentiana shystocalix*, *Saxifraga coriifolia*, *Pachyphragma macrophyllum*, *Phyllitiss scolopendrium*, *Circaea lutetiana*, *Ranunculus ampelophyllus*, *Salvia glutinosa*, *Chrysosplenium dubium*.


მცენარეთა ცალკეულ სახეობებზე პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული შეშფოთების შეფასება და შემარბილებელი ან/და საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრა.

საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული წითელი ნუსხის სახეობებიდან ყველა დიდი ზომის ხე მცენარეებია. როგორც ცნობილია წყლის მილების გაყვანისას არ იქნება გამოყენებული მძიმე ტექნიკა, შესაბამისად ამ ხეებზე პროექტის ზემოქმედება მინიმალური იქნება. საპროექტო ტერიტორიაზე არ დაფიქსირდა ენდემური ბალახოვანი სახეობები.

მცენარეული საფარის მაქსიმალური შენარჩუნებისთვის გათვალისწინებული უდა იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

1. პერსონალის ინსტრუქტაჟი მცენარეული საფარის დაცვის აუცილებლობის და წესების შესახებ;
2. მერქნიან მცენარეთა ფესვთა ზონაში მასალის დასაწყობების/დალაგების აკრძალვა;
3. სადაც ამის საშუალება არსებობს, მოჭრილი მცენარის ფესვების მიწაშივე დატოვება მომავლში აღმოცენებისთვის;
4. ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
5. სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
6. მშენებლობის დასრულების შემდეგ რეკულტივაციის სამუშაოების ჩატარება.


დანართი 1. საკვლევ ტერიტორიაზე აღწერილი წითელი ნუსხის სახეობების GPS კოორდინატები

| | |
|---|------------------------|
| Ulmus minor Mill. | Georgian Red List (VU) |
| 268122.916 E 4601259.916 N | |
|  | |

| | |
|----------------------|------------------------|
| Ulmus minor Mill. | Georgian Red List (VU) |
|----------------------|------------------------|

268161.694 E
4601276.048N



| | |
|---|------------------------|
| Ulmus minor Mill. | Georgian Red List (VU) |
| 268208.323E 4601275.689 N 2 pieces | |
|  | |

| | |
|----------------------|------------------------|
| Ulmus minor Mill. | Georgian Red List (VU) |
|----------------------|------------------------|

268231.598 E
4601256.780 N



Ulmus minor
Mill.

Georgian Red List (VU)


268681.232E
4601352.447 N



Castanea sativa
Mill.

Georgian Red List (VU)

269293.414 E
4601798.722 N



Ostrya carpinifolia Huds.

Georgian Red List (VU)

269267. 137 E
4601872.739 N



Castanea sativa Mill.

Georgian Red List (VU)

269322.898E

4602008.610 N



Ulmus glabra L.


Georgian Red List (VU)

269265.022 E
4602151.862 N



| | |
|-----------------|------------------------|
| Ulmus glabra L. | Georgian Red List (VU) |
|-----------------|------------------------|

269327.834 E
4602600.912 N



Ulmus glabra L.

Georgian Red List (VU)


269417.773 E
4602662.872 N



Juglans regia L.

Georgian Red List (VU)

269503.869 E
4602893.380 N



Juglans regia L.

Georgian Red List (VU)

269480.926 E
4602911.260 N



Ostrya
carpinifolia Huds.

Georgian Red List (VU)

269110.037 E
4603043.022 N



იქთიოლოგიური კვლევა

კვლევები წარმოებული იქნა რამაზ მიქელაძის მიერ

კვლევითი მიზანი:

1. საკვლევი ობიექტის იქთიოფაუნის შესწავლა;
2. დაცული, საფრთხის ქვეშ მყოფი, ენდემური, იშვიათი და სხვა, გლობალურ ან/და ეროვნულ დონეზე აღსანიშნავი სახეობის იდენტიფიცირება.
3. სოფელ კვიახიძეების წყალმომარაგების სათავე ნაგებობის აგების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა ზეგავლენის მასშტაბის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის მეთოდები:

აღნიშნული მდინარის ადგილმდებარეობის და რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევა/მონიტორინგი მოიცავდა კამერალურ კვლევას და ვიზუალურ აუდიტს,

კამერალური კვლევა - გაანალიზდა საკითხზე და საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. გაანალიზდა საკვლევი რაიონის ორთოფოტოები (Viewer 32, Adjara-2003) სატელიტური იმიჯები (Google Earth:7.1.1.1888).

ვიზუალური აუდიტი - ჰაბიტატების ვიზუალური იდენტიფიცირება გულისხმობს ყოველი სახეობის ტიპური ჰაბიტატის განსაზღვრას (ტიპური ჰაბიტატის ჰიქსომეტრია, ზოგადი ჰიდროლოგია, რელიეფი, გრუნტი, ლანდშაფტურ-ვიზუალური მახასიათებლები), რის საფუძველზეც მოხდა ნაკადულის მონაკვეთებზე სახეობრივი შემადგენლობის ვირტუალური იდენტიფიცირება შესაბამისი ფოტო-ვიდეო გადაღებით.

საკვლევი ტერიტორიის იქთიოფაუნის ზოგადი მიმოხილვა

საკვლევი ტერიტორიაზე რომელიც წარმოადგენს მდ. მოდულისწყალს, მდ. ჩირუხისწყლის მცირე შენაკადს, რომელიც თავისმხრივ წარმოადგენს მდ. აჭარისწყლის შენაკადს, ბინადრობს მხოლოდ ნაკადულის კალმახი (*Salmo fario Linnaeus, 1758*).

მდ. მოდულისწყალს ახასიათებს წყალმოვარდნები. ადგილმდებარეობაში შეყვანილია გზა, თუმცა სათავე ნაგებობის განთავსების ადგილამდე იგი ვერ აღწევს. ტყის საფარი შენარჩუნებულია სრულად და ეროზიულ მოვლენებს ადგილი არ აქვს, რაც ნაკადულის კალმახის ბინადრობისათვის და გამრავლებისათვის კარგ გარემოს წარმოადგენს. მდინარე არ ხასიათდება მკვეთრი ვარდნილებით. სათავე ნაგებობის მოწყობის ქვემოთ მდინარეს უერთდება მცირე შენაკადი, რომელიც ასევე კალმაცისათვის გამოსადეგი საბინადრო გარემოა, რაც წყალაღების შემთხვევაში გარკვეული კომპენსირების შესაძლებლობას წარმოადგენს(იხ. ფოტო). შესწავლისას წყალდიდობის გამო ჩვენს მიერ ვიზუალურად ვერ დაფიქსირდა კალმახის ეგზემპლარები.

ჰაბიტატის შეფასებიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ აღნიშნული სათავის ადგილმდებარეობის ზედა და ქვედა დინებაში გავრცელებულია ნაკადულის კალმახის რეზიდენტი და სავარაუდოდ გამსვლელი პოპულაციაც, რომელიც ადაპტირებულია ამ პირობებს და გამრავლების შემდგომ ნაწილდება შენაკადის მთელს სიგრძეზე. პოპულაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების სრულ შეფასებას ჭირდება კვლევითი ექსპედიცია ჭერების წარმოებით.

ნაკადულის კალმახის სტატუსი.

ნაკადულის კალმახი შეტანილია საკართველოს წითელ ნუსხაში, ხოლო საერთაშორისოში მინიჭებული აქვს კონსერვაციული სტატუსი (Least Concern)

პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზეგავლენის შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდაციები.

საკვლევ ტერიტორიაზე წითელი ნუსხის სახეობების თევზის დაფიქსირებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მისი ბინადრობის პირობების შენარჩუნების აუცილებლობაზე.

დღეის მდგომარეობით (წყალდიდობის გათვალისწინებით)ჰიდროლოგების მიერ მოწოდებული ინფორმაციით მდინარე მოდულისწყალის წყლის დებეტი შეადგენდა **250-300 ლ/წმ**. სათავე ნაგებობის პროექტის წინასწარი ვერსიით წყალაღების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს **4 ლ/წმ**.

არსებული მოცემულობით 4 ლ/წმ. წყალაღება მდ. მოდულისწყალზე, როგორც კალმახის ბინადრობის ჰაბიტატზე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს, თუმცა წყლის დებეტის შემცირება განსაკუთრებით ზაფხულის წყალმარჩხოვის პერიოდში, ნეგატიურ გავლენას მოახდენს საკვები ორგანიზმების განვითარებასა და კალმახის ბინადრობის პირობებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანსეწონილად მიმაჩნია სათავე ნაგებობის აგებისას დაცული იქნას შემდეგი პირობები:

ა) დაზუსტდეს მდინარის წყლის დებეტი და წყალმოხმარების დონე, რათა გამოირიცხოს ზეგვეგმიური წყალმოხმარება.

ბ) სათავე ნაგებობის წყალმიმღებზე დამონტაჟდეს თევზამრიდი რკინის ან სხვა გამძლე მასალისაგან დამზადებული გისოსით უჯრედის ზომით არაუმეტეს 10 მმ.

გ) სათავე ნაგებობის გამართვისას მინიმუმდე იქნას დაყვანილი ხე-ტყის მოჭრა მდინარის კალაპოტის მიმდებარედ, რათა არ გააქტიურდეს ეროზიული მოვლენები.

ე) ჩატარდეს დამატებითი იქთიოლოგიური კვლევა სათავე ნაგებობის ექსპულატაციაში შესვლის შემდგომ აგვისტოს წყალმარჩხოვის პერიოდში

დანართი 1. ფოტომასალა



მაკროუხერხემლოების კვლევა

კვლევა წარმოებული იქნა დავით ბაგრატიონის მიერ

კვლევი მიზანი:

1. ჰიდრობიონტების შესწავლა;
2. მდინარის წყალში ბინადარი უხერხემლოების სახეობათა იდენტიფიცირება, რიცხოვნობისა და ბიომასის გამოთვლა საკვლევ სინჯებში და გადაანგარიშება კვადრატულ მეტრზე.
3. სოფლის წყლით მომარაგების მიზნით მდინარეზე კაპიტალური სათავე ნაგებობის მშენებლობისას საჭიროა დაცული იქნას უხერხემლოთა სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით ეკოლოგიური პირობები და გათვალისწინებულ სამუშაოთა ზეგავლენის შედეგების მიხედვით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.


კვლევის მეთოდები:

საკვლევ სამუშაო მიმდინარეობდა მდინარე მოდულის უხერხემლო ჰიდროფაუნაზე. კვლევისათვის სინჯების შეგროვება მოხდა მდინარის 5 წერტილიდან ყოველი 15 მეტრიანი დაცილებით 30 სმ-ის სიღრმიდან 20 წმ-ის განმავლობაში საყოველთაოდ მიღებული ჟადინის მეთოდით ჩოგან ბადე Chic-net -ის გამოყენებით, რომლის ხაზვის ფართი 0.15 მ²-ის ტოლია, ხოლო სინჯის საწური ბადე 500 მიკრონის ფორებიანი ქსოვილია. ჩოგან ბადე იდგმება მდინარეში საკვლევ წერტილის ფსკერზე და ფეხის მოძრაობით ხდება წყლის სიღრმისეული მასის აღრევა. ჩვენს მიერ სინჯები შეგროვილი იქნა მდინარის ნაპირთან ახლოს მდორე ადგილას. აღებულ უხერხემლოთა მასალას სპეციალურ ქილებში 70% -იან სპირტში ვაფიქსირებდით. მისი პირველადი დამუშავება - დეტრიტისაგან ორგანიზმების გამოცალკავება ხდებოდა ლაბორატორიაში, სადაც მიმდინარეობდა ორგანიზმების ტაქსონომიური (სისტემატიკური) ჯგუფობრივი და სახეობრივი იდენტიპიკაცია “Leica” -ს ტიპის

მიკროსკოპისა და ბინოკულარის, შესაბამისი მტკნარი წყლების სარკვევებით. ბიომასის განსაზღვრისათვის ვიყენებდით ბორუცკის ზუსტი წონის მეთოდს ტორსიონულ სასწორის გამოყენებით.

საკვლევ ტერიტორიის უხერხემლოთა ზოგადი მიმოხილვა


მდინარე მოდულის ჰიდროსფეროში დაფიქსირდა უხერხემლოთა 2 კლასის (მწერები და ტურბელარიები) ლარვები, რომლებმაც მოიცვა ჰიდრობიონტთა 9 რიგი, 19 -19 ოჯახი და გვარი და 25 სახეობა. დომინირებდნენ მწერები, რომელთა შორის მრავალფეროვნებით აღინიშნა ორფრთიანები (Diptera)-6 სახეობით, რამაც უხერხემლოთა სახეობების მთელი რაოდენობის 24%-ია. Plecoptera -მ 5 სახეობით შეადგინა 20 %, ხოლო Ephemeroptera და Trichoptera 4-4 სახეობით იძლევა 16-16 %. დარჩენილიდან 8 % მოდის Coleoptera-ს, 4-4% კი Hymenoptera-ს, Megaloptera-ს, Odonata-სა და Rhabdocoela -ს მრავალფეროვნებაზე (სურ.1).



სურ.1. მდ. მოდულის ჰიდროსფეროს უხერხემლოთა ბიომრავალფეროვნება %-ში (2021 წ 16 მაისი)

მდ. მოდულის უხერხემლოთა სახეობების რიცხოვნობამ და ბიომასამ კვადრატულ მეტრზე სულ შეადგინა 450 ინდ/მ² და 5.949 გ/მ². დომინანტია მწერების ლარვები,

რომელთა რიცხოვნობა და ბიომასა ტოლია 449 ინდ/მ² და 4.597 გ/მ² შესაბამისად, რამაც შეადგინა მთელი ფაუნის მონაცემთა 99.7 – 77.2 % შესაბამისად. მწერების ლარვებს შორის რიცხოვნობითა და ბიომასით დომინანტია *Ephemeroptera* -ს ლარვები, რომლის რიცხოვნობა და ბიომასა ტოლია 174 ინდ/მ² და 1.013 გ/მ², რაც შეადგენს მთელი მწერების ლარვების რიცხოვნობის 38.7% და ბიომასის -17 %. რიცხოვნობის მაჩვენებლები სურათი შემდეგია: *Ephemeroptera* -ს ლარვების რიცხოვნობაზე მცირეა Plecoptera -ს ლარვები (34%), რიცხოვნობის მკვეთრი ვარდნა აქვთ Diptera -ს (10 %), Trichoptera-ს (8 %) და Coleoptera -ს (4 %), Hymenoptera-ს (3.8 %) რაც შეეხება Odonata -ს, Megaloptera-სა და Rhabdoceola -ს მათი რიცხოვნობა სულ 1.8 %-ის ტოლია (სურ.2).



სურ.2. მდ. მოდულის ჰიდროსფეროში უხერხემლოთა ლარვების პროცენტული შემადგენლობა (2021 წ 16 მაისი)

სინჯებში დაფიქსირებული სახეობების ლარვებიდან დომინირებენ შემდეგი ინდივიდები: *B. rhodani* -123ინდ/მ² და *P. Humeralis* - 114ინდ/მ², თითო ეგზემპლარი

დაფიქსირდა კვადრატულ მეტრზე *Limnephilus* sp., *Atherix* sp. და *P. Torva* . მაგრამ წყალსატევის ბიომრავალფეროვნების შეფასებისას მათი ფიქსირება წყალსატევში გარკვეული ღირებულების მატარებელია.

საკვლევ წყალსატევში დაფიქსირებული ინდივიდები იმყოფებოდნენ განვითარების სხვადასხვა (ჭიების, მუხლუხობის, იმაგოსა და ზრდასრულ) სტადიაზე, რაც მიუთითებს უხერხემლოთა საარსებო გარემოს, მდ. მოდულის ჯანსაღ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

მდ.მოდულის უხერხემლოთა ბიომრავალფეროვნება, რიცხოვნება (ინდ/მ²) და ბიომასა (გ/მ²).

| Class | Order | Family | General | Species | Ind/m ² | g/m ² | |
|-------------------------|----------------------------|-----------------|--------------|--------------------------------|----------------------|------------------|--------------|
| Insecta | Ephemeroptera | Heptagenidae | Ecdyonurus | <i>Ecdyonurus fluminum</i> | 3 | 0.343 | |
| | | | Rhithogena | <i>Rhithogena aurantiaca</i> | 44 | 0.094 | |
| | | Baetidae | Baetis | <i>Baetis rhodani</i> | 123 | 0.145 | |
| | | Leptophlebiidae | Habrophlebia | <i>Habrophlebia</i> sp. | 4 | 0.431 | |
| | Total Ephemeroptera | | | | | 174 | 1.013 |
| | Trichoptera | Rhyacophilidae | Rhyacophila | <i>Rhyacophila nubila</i> | 4 | 0.017 | |
| | | Hydropsychidae | Hydropsyche | <i>Hydropsyche pellucidula</i> | 8 | 0.172 | |
| | | Limnophilidae | Limnephilus | <i>Limnephilus</i> sp. | 1 | 0.016 | |
| | | | | | Trichoptera sp.imago | 23 | 0.669 |
| | Total Trichoptera | | | | | 36 | 0.874 |
| | Plecoptera | Perlidae | Perla | <i>Perla abdominalis</i> | 16 | 0.909 | |
| | | | Perlodes | <i>Perlodes dispar</i> | 14 | 0.568 | |
| | | Leuctridae | Leuctra | <i>Leuctra prima</i> | 4 | 0.001 | |
| | | Nemuridae | Protonemura | <i>Protonemura humeralis</i> | 114 | 0.256 | |
| | | | Nemura | <i>Amphinemura cinerea</i> | 3 | 0.008 | |
| Total Plecoptera | | | | | 151 | 1.742 | |

| | | | | | |
|--------------------------|-----------------|--------------|------------------------|------------|--------------|
| Diptera | Chironomidae | Chironomus | Tendipes bloodworm | 5 | 0.007 |
| | Melusinidae | Melusina | Simulium sp | 11 | 0.306 |
| | Rhagionidae | Atherix | Atherix sp. | 1 | 0.012 |
| | Blepharoceridae | Blepharocera | Blepharocera sp. | 7 | 0.009 |
| | 3.Limonidae | Eriocera | Eriocera sp. | 3 | 0.083 |
| | Diptera larve | Ormasia | Ormasia sp. | 18 | 0.024 |
| Total Diptera | | | | 45 | 0.441 |
| Odonata | | | Odonata sp larve | 4 | 0.012 |
| Total Odonata | | | | 4 | 0.012 |
| Coleoptera | Aqvatis Beetles | | Aqvatis Beetles larvea | 14 | 0.043 |
| | Warer Beetles | | Warer Beetles Adult | 5 | 0.437 |
| Total Coleoptera | | | | 19 | 0.48 |
| Hymenoptera | | | Hymenoptera larvea | 17 | 0.031 |
| Total Hymenoptera | | | | 17 | 0.031 |
| Megaloptera | Collembolidae | Collembola | Collembola sp. | 3 | 0.004 |
| Total Megaloptera | | | | 3 | 0.004 |
| Total Insecta | | | | 449 | 4.597 |
| Turbellaria | Rhabdocoela | | Planaria torva | 1 | 1.352 |
| Total Turbellaria | | | | 1 | 1.352 |
| Total | | | | 450 | 5.949 |
| 3 class | 9 order | 19 family | 18 genus | 25 Species | |

პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზეგავლენის შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდაციები.

პროექტის განხორციელების საშუალებას ზემოთ აღნიშნულ მდინარეზე მისი წყალუხვობა იძლევა, მაგრამ მასში მობინადრე უხერხემლოთა ლარვების გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ წყლის დებეტის მდგომარეობა რათა მწერების ლარვები არ დარჩნენ წყლის გარეშე, რამეთუ წყალი ეკოლოგიურად სასიცოცხლო მნიშვნელობის გარემოა ამ ინდივიდებისათვის.

შესაბამისად, მდ.მოდულიდან, როგორც წყალმიმღებიდან უნდა გამოირიცხოს სრული წყალაღება და წყალსატევის დეგრადაცია, რაც თავისთავად გამოიწვევს მწერების ლარვების უწყლოდ დატოვებას, რასაც მივყავართ ზრდასრული მწერების ინდივიდთა გადაშენებისაკენ .

გარდა ამისა, აღნიშნულ საკვლევ მდინარეში წყლის დაბალ დონეს (60 სმ) მივყავართ მისი სრულად დაშრობის საშიშროებისაკენ, და მოსალოდნელია საბოლოოდ ბუნებაში არსებული კვებითი ჯაჭვის ერთერთი რგოლის (მწერების) განადგურებით დასრულება. ამიტომაც შემარბილებელ ღონისძიებად მიგვაჩნია არსებული წყლის მასა გამოყენებული იქნას სოფლების მოსახლეობათა წყლით მომარაგების დროს აუცილებელი დებეტის შენარჩუნება, რითაც ხელი შეეწყობა მდ. გიდელას მიერ მდ. ჩირუხში მობინადრე თევზების ბუნებრივი საკვებით გამდიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Decree #303 of May 2, 2006 of the President of Georgia, "On Approval of the Red List of Georgia" (Endangered Species List)
2. Dimitreewa A.A. 1990 a. Determinant of the plants of Ajara ("Opredelitel rastenii Adjarii"). Academy of the science of Georgia, Batumi botanical garden. "Tbilisi", 327 pp. (In Russ.)
3. Dimitreewa A.A. 1990 b. Determinant of the plants of Ajara ("Opredelitel rastenii Adjarii"). Academy of the science of Georgia, Batumi botanical garden. "Tbilisi", 278 pp. (In Russ.)
4. Gagnidze, R. Vascular plants of Georgia a nomenclatural checklist // „Universal” Press. 2005.
5. Ketzkhoveli, Gagnidze "Georgian Flora", 1971-2016 (In Georg.)
6. Georgian red list (2006)
7. <https://www.iucn.org/>
8. Georgian Biodiversity Database // <http://biodiversity-georgia.net/index.php?redlist=1>
9. FSC. 2015. FSC Principles and Criteria for Forest Stewardship. FSC-STD-01-001. FSC, Bonn.
10. Whittaker R.H. Evolution and measurement of species diversity //Taxon, 1972. V.21. p. 213-251.
11. Braun-Blanquet, J., Fuller G.D., Conard H.Sh., Blanquet J.B. 1965. Plant Sociology: The Study of Plant Communities. Authorized English Translation of Pflanzensozologie by J. Braun-Blanquet. Transl., rev. and Ed. by George D. Fuller and Henry S. Conard. Hafner Pub.
12. Conklin, A.R., & Meinzholt, R. 2004. Field Sampling: Principles and Practices in Environmental Analysis. ISBN: 0824754719. Marcel Dekker, Ink. New York & Basel.376 pp.
13. River Habitat Survey in Britain and Ireland. Field Survey Guidance Manual: 2003 Version. Guidelines for the collection and analysis of fish and fish habitat data for the purpose of assessing impacts from small hydropower projects in British Columbia. Prepared by: Todd Hatfield Solander Ecological Research Ltd. Victoria BC Adam Lewis EcoFish Research Ltd. Courtenay BC Scott Babakaiff BC Ministry of Environment Surrey BC.
14. Welker, T. L., and M. R. Drobish. (editors), 2010. Missouri River Standard Operating Procedures for Fish Sampling and Data Collection, Volume 1.5. U.S. Army Corps of Engineers, Omaha District, Yankton, SD

15. Правдин И. Ф. 1966. „Руководство по изучению рыб (преимущественно пресноводных)“. Изд. «Пищевая промышленность» М. Стр. 376.
16. Чугунова Н. И. 1959. „Руководство по изучению возраста и роста рыб“. Издательство академии наук СССР. Москва. Стр. 165.
17. Руководство по изучению питания рыб в естественных условиях / Под ред. Е.Н. Павловского — М.: Изд-во Академии наук СССР, 1961. — 263 с.
18. Сакун О.Ф., Буцкая Н.А. 1963. Определение стадий зрелости и изучение половых циклов рыб. Мурманск, Рыбное хозяйство, 46 с.
19. Мельничук Г.Л. 1974. Методическое пособие по изучению питания и пищевых отношений рыб в естественных условиях. Л.: Изд-во ГосНИОРХ, 253
20. Определитель пресноводных беспозвоночных России и сопредельных территории. т.4. Двухкрылыенасекомые. Санкт-Петербург. “ Наука”, 995с, 2006
21. Липин А. Н. Пресные воды и их жизнь М.1980 г
22. Zosidze R. Hydrofauna of the Chvanistskali River. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 159, N2, p. 339-341,1999;
23. Zosidze R., Meskhidze J. Hydrofauna of Chorokhi river and its tributary (Machakhlistskali), food chain of fish. Batumi Pedagogical Institute proceedings, vol. V, pp 64-83, 1978;
24. Bukhnikashvili A., Beltadze N. “Register of the Fauna of Ajara”, p. 707, edit. 2012, Tbilisi register of Fauna of Adjara).
25. <http://biodiversity-georgia.net/index>.

დანართი / ფოტოები





RURAL WATER SUPPLY AND WASTEWATER TREATMENT PROGRAM – AJARA

LOT 2

KVIAKHIDZEEBI SUPPLY AND WASTEWATER TREATMENT PROJECT



ECOLOGICAL SURVEY REPORT

Environmental Association – PSOVI

es_psovi@yahoo.com

+995 595 40 66 90


Batumi 2021

| | |
|--------------------------------------|----|
| 1. Survey Timescal and Location----- | 3 |
| 2. Zoological Survey ----- | 4 |
| 3. Botanical Survey ----- | 10 |
| 4. Ichthyological Survey ----- | 30 |
